დამტკიცებულია:
ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის
დირექტორის 2025 წელის 10 იანვრის N6 ბრძანებით

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია

თბილისი 2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი (შემდგომში აკადემია, დაწესებულება) ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესს;

წესი შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან;

სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. საქმიანობაში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფინანსური და მატერიარული მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს. სასწავლო პროცესის დროს - პროფესიული განათლების მასწავლებელს.

ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

ა) ნარჩენების შეგროვება, ეტაპობრივად დახარისხება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);

ბ) ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;

გ) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, ხოლო არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

სახიფათოობის, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები იხ. დანართი 1-ის შესაბამისად;

მუხლი 3. ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;
2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის/კომპონენტის განმახორციელებელს;
3. უტილიზაცია შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი, სათანადო წესებისა და უსაფრთხოების ნორმების ზუსტი დაცვით, რომელზე პასუხიმგებლობა ეკისრება მოდულის/კომპონენტის განმახორციელებელს;
4. ლაბორატორიული ნარჩენების, რომლებიც მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, საყოფაცხოვრებო ნაგავში/მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში გადაყრა და საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრა აკრძალულია;
5. საყოფაცხოვრებო ნაგავში/მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში არ შეიძლება მოხვდეს ლაბორატორიული მყარი ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ:

ა)ადვილად აალებად მყარ ნივთიერებებს, როგორებიცაა ტუტე მეტალების ნაჭრები, მეტალური მაგნიუმი, წითელი ფოსფორი, გოგირდი, პარაფინი და სხვა; ბ) ძლიერ მჟანგავებს;

გ) ტუტე და ტუტემიწა მეტალთა ოქსიდებს; დ) ტუტეებს;

ე) მძიმე მეტალებს;

ვ) დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვებისას გამოყენებულ მასალას;

ზ) დაღვრილი კონცენტრირებული მჟავების, ტუტეების, ან საწვავ და ადვილად აალებადი

6 . სითხეების შესაგროვებლად გამოყენებულ სორბენტებს და სხვა მასალებს (ფილტრის ქაღალდი, ტილოები);

თ) ბასრ და სახიფათო ნარჩენებს, თუ ისინი მოთავსებული არ არის სპეციალურ, დაცულ კონტეინერში გამაფრთხილებელი წარწერით.

7. საკანალიზაციო სისტემაში არ შეიძლება გადაიღვაროს ლაბორატორიული თხევადი ნივთიერებების წყალხსნარები, რომლებიც შეიცავენ:

ა) მძიმე მეტალებს (როგორც კატიონების, ასევე ანიონების სახით); ბ) ძლიერ ტუტეებსა და მჟავებს; გ) ძლიერ მჟანგავებს;

დ) ორგანულ სითხეებს;

ე) ქლორორგანულ ნაერთებს.

8.საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად დაგროვილი ნარჩენები, რომელიც წარმოდგენილია ქაღალდის/მუყაოს სახით, გროვდება შესაბამის სათავსოში, ხდება რეგულარულად მათი ჩაბარება მაკულატურის სახით. ნარჩენი ქაღალდის შესაგროვებლად კოლეჯის ტერიტორიაზე განლაგებულია ე/წ „მწვანე ყუთები“ “მწვანე ყუთებში” შეიძლება ჩაიყაროს შემდეგი: ο ქაღალდი პრინტით ο პატარა და საშუალო ზომის მუყაოს შეფუთვები

ο ჟურნალები ο წიგნები ο კრაფტ პარკები (ყავისფერი ქაღალდის პარკები) ο კონვერტები

9.“მწვანე ყუთებში” არ შეიძლება შემდეგი ნივთების ჩაყრა:

- ერთჯერადი ყავის ჭიქები; მათი ქაღალდი დაფარულია პლასტმასის ფენით იზოლაციისათვის
- სახლში მიტანის სერვისის ერთჯერადი შეფუთვები ფოლგით ან პლასტმასის ფენით შიგნიდან (მაგალითად: ნუდლსის, ნამცხვრების, წვნიანების ან სხვა ცხელი კერძების შეფუთვები)
- ქვითრები
- ტუალეტის ქაღალდი (მუყაოს ჩათვლით) და ჭუჭყიანი ხელსახოცები
- სტიკერები
- ქაღალდის შეფუთვები კვერცხისათვის და „თეიქევეის“ ჭიქის დამჭერები
- ფოტოები
- შპალერი
- სიგარეტის კოლოფები
- თეთრი შესაფუთი ქაღალდი
- ტეტრა პაკის შეფუთვები

10.ქაღალდის/მუყაოს მომზადება უტილიზაციისთვის:

- ○ ქაღალდი და მუყაო არ უნდა იყოს ცხიმიანი
- ○ დაკეცეთ ან დააბრტყელეთ მუყაოს ყუთები ან ქაღალდის ჩანთები
- ○ მოაშორეთ ყველაფერს მეტალის ან პლასტმასის ნაწილები (მაგალითად: ზამბარები, მეტალის სკრეპები, პლასტმასის დეტალები და ა.შ.)
- ○ შეამოწმეთ ლამინირებული ხომ არ არის ქაღალდი - ოდნავ გახიეთ (შეგიძლიათ ხელით მოაშოროთ) ○ მოაშორეთ იზოლენტები მუყაოს შეფუთვებს, მაშინაც კი თუ იზოლენტა ქაღალდის არის;
- ○ შეგროვებული ქაღალდი და მუყაო გადაეცემა ქაღალდის გადამამუშავებელ კომპანიებს, რომლებიც ახდენენ შეგროვებული ქაღალდის გადამუშავდება. ამ აქტივობით კოლეჯს თავისი წვლილი შეაქვს ეკოსისტემის დაცვის საქმეში.

11. ქაღალდის უტილიზაცია, რომელიც შეიცავს პირად ინფორმაციას, ხდება დაქუცმაცების შემდგომ.

12. პლასტმასის ნარჩენების მოგროვებას აკადემია ახორციელებს სპეციალურ ეტიკეტირებულ კონტეინერში და პერიოდულად მოგროვილ ნარჩენებს აბარებს გადამმუშავებელ კომპანიას.

13. დაწესებულების ტერიტორიიდან სპეციფიკური ნარჩენების გატანასა და განადგურებას ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი ორგანიზაცია, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

14. ნარჩენების მართვა დაწესებულების ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

- კონტეინერეზე, სადაც განთავსდება სახიფათო ნარჩენები დატანილი იქნება შესაბამისი, მაფრთხილებელი ნიშნები;
- სახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილებზე გამოკრული იქნება სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის წესები;

- ადგილებში, სადაც დამცავი საშუალებების გარეშე შესვლა აკრძალულია, დატანილი იქნება შესაბამისი შინაარსის მაფრთხილებელი ნიშნები;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებზე დატანილი იქნება შესაბამისი ნიშნები;
- ადგილები, სადაც ნარჩენები დროებით განთავსდება (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში) ეტიკეტირებული იქნება შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნებით;
- კონტეინერებზე არსებული მაფრთხილებელი ნიშნების დაზიანების შემთხვევაში, ძველი ნიშანი ჩანაცვლდება ახლით;
- აზბესტშემცველ ნარჩენების შეფუთვაზე გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნა -აზბესტშემცველობის შესახებ;
- ყველა ნიშანი, რომელიც დატანილი იქნება ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებსა და დროებითი განთავსების ადგილებზე, უნდა იკითხებოდეს ადვილად, რათა პერსონალმა ადვილად შეძლოს ნიშნების შინაარსის გაგება;
- მაფრთხილებელი ნიშნები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე რათა გასაგები იყოს დასაქმებული თანამშრომლებისთვის.

- პერსონალს, რომელიც ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, მიღება/ჩაბარება) დასაქმდება გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;

- პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

- პერსონალს უნდა შეეძლოს პირველადი დახმარების აღმოჩენა მოწამვლის ან ტრავმირების შემთხვევაში ნარჩენებთან მუშაობის დროს;

- ნარჩენების შეგროვების ადგილზე დაუშვებელია დადგენილ ნორმაზე მეტი რაოდენობის ნარჩენების განთავსება. ასევე, დაუშვებელია ნარჩენების განთავსება ნაპერწკალ და სითბოს წარმომქმნელ წყაროებთან ახლოს;

- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;

- ნარჩენების დაგროვების ადგილებში არ დაიშვება უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა, ასევე, სასტიკად იქნება აკრძალული საკვების მიღება;

- ნარჩენებთან მუშაობის დროს მკაცრად იქნება დაცული პირადი ჰიგიენის წესები, მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანა;

- მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში, სამუშაო უნდა შეწყდეს და პირმა უნდა მიმართოს სამედიცინო პუნქტს და ამ შემთხვევაზე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობას შეატყობინოს.

- ხანძარსახიფათო ნარჩენების შეგროვების ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარქრობის საშუალებებით. ამ სახის ნარჩენების განთავსების ადგილებში სასტიკად იკრძალება მოწევა და ღია ცეცხლით სარგებლობა;

- პერსონალმა უნდა იცოდეს ნარჩენების თვისებები და ხანძარქრობის წესები. ცეცხლმოკიდებული ადვილად აალებადი ან საწვავი სითხეების ჩაქრობა შესაძლებელია ცეცხლსაქრობის, ქვიშის ან ცეცხლგამძლე ქსოვილის საშუალებით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1.წინამდებარე წესში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს დირექტორის ბრძანებით დაწესებულების საჭიროებებიდან გამომდინარე ან/და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე.

2. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ასევე დაწესებულების მიერ შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს პროგრამების სპეციფიკით განსაზღვრული სხვა წესები.

3. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი წესის დამტკიცების შემთხვევაში.

დანართი 1. სახიფათოობის, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები სახიფათოობის განმსაზღვრელი ნიშნები

ადვილად აალებადი მყარი ნივთიერებები	სხვა საშიში ნივთიერებები და ნაკეთობანი	მჟანგავი ნივთიერება	გამაღიზიანებლი, მავნე
ადვილადა ალებადი აირები	ტოქსიკური აირები	ტოქსიკური ნივთიერებები	ეკოტოქსიკური

გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები

მოწევა აკრძალულია	ექვემდებარება გადამუშავებას	საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის	ხანძარსაშიშია